დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის
საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე

წევრები:

1. **ნინო მიდელაშვილი**--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. **თეა ნინუა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. **კახა გალდავა**- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. **ხათუნა წიკლაური** -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. **ქეთი ბობოხიძე**-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. **მეგი კაპანაძე** -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. **თამარ ოძელაშვილი**-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. **ლია კობესაშვილი**--მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. **კობა დეკანაძე**- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. **ქეთევან ცირეკიძე**-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის, სიმონიანთხევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232387761

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თიანეთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	1. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორანა 3. თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თოლენჯი
ფაქტობრივი მისამართი	1. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორანა 3. თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თოლენჯი
საფოსტო ინდექსი	2500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	----------
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	siminiantkhevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577616373

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 6 23 0000866277; 11/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წელის 03-04 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

				ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	1. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორანა 3. თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თოლენჯი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 03 და 04 აგვისტო, სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სამივე სოფლის სკოლის ინფრასტრუქტურა. მათ შორის სოფელ სიმონიანთხელში არსებული კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონინათხევის საჯარო სკოლა ცდილობს ფეხი აუწყოს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებსა და რეფორმებს, დანერგოს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები, მიდგომები და ამავდროულად შეინარჩუნოს ტრადიციები და ისეთი კულტურულ-ისტორიული ფასეულობები, რომლებიც გამოკვეთს სკოლის განსაკუთრებულ და გამორჩეულ როლს. სკოლა ამაყობს საკუთარი ისტორიით. კერძოდ, თოლენჯის დაწყებით სკოლაში ერთ დროს მასწავლებლობდა ქართველი პოეტი მირზა გელოვანი, ხოლო სიმონიანთხევის საჯარო სკოლას ხელმძღვანელობდა სოფლის მკვიდრი, თანამედროვე პოეტი, ტარიელ ხერხერაული. სკოლის მიზანია სახელოვან წინაპართა ნაკვალევზე აღიზარდოს ახალი თაობა და ჩაუნერგოს მათ მათდამი პატივისცემა და სიყვარული.

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ის, რომ სკოლის ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა ახალ თაობას შემოუნახეს ძველი სასწავლო რესურსები, რომლებიც რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და დღესაც აქტიურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. მაგალითად, ხისგან დამზადებული ე.წ. აბაკი, რომელიც ძალზე ეფექტურია წერა-კითხვის სწავლებისას და ე.წ. ელექტრო „ტაბლო“, რომელიც მათემატიკური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ისტორიული სასწავლო რესურსების გამოყენებასთან ერთად ცდილობენ, მოსწავლეებს შეასწავლონ წინაპრების ხელსაქმეც (თექის ხალიჩის, გობელენის დამზადება).

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I.

ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----150---------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები))	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.09.2023-30.10.2023) უზრუნველყოს, 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (06.11.2023-20.11.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (06.11.2023-20.11.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

		ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა.	
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა (მათ შორის შრომით ხელშეკრულებებში) და ,,ზოგადი განათლების კანონთან" შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების მკაფიოდ განსაზრვრული ფუნქციების ჩამოყალიბება.
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი: ,,საქმიანობის უფლების ჩამორთმევის"

		და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობების მოპოვება.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს: 1.შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.(28/06/2023-20/06/2024) 2.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთნ და დამტკიცება.(04/08/2023-01/08/2024) 3.შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება (06/07/2023-01/07/2024 4. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა სოფელ გორანის და თოლენჯის დაწყებოთი სკოლების მისამართზე, ხოლო გარემონაკვეთის და კიბის უჯრედების აღჭურვა სიმონიანთხევის მისამართზე (30/07/2023-20/07/2024)
ინდიკატორი 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (30/07/2023-20/07/2024) უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა სოფელ გორანის

		და თოლენჯის დაწყებოთი სკოლების მისამართზე, ხოლო გარემონაკვეთის სრულად და კიბის უჯრედების აღჭურვა სიმონიანთხევის მისამართზე
ინდიკატორი 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20/09/2023-20/10/2023) უზრუნველყოს სკოლის ,,პერსონალური მონაცემების დაცვის“ დოკუმენტის შესაბამისობა, სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. ასევე, უზრუნველყოს ვიდეოდათვალიერების განხორციელება საქართველოს კანონის,,პერსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-10 მუხლის ,,ვიდეომონიტორინგის განხორციელება“ შესაბამისად.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (20/09/2023-10/09/2024) უზრუნველყოს ყველა პირისთვის სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა.
ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის	სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტით სარგებლობის წესების შემუშავება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში(04/-9/2023-

	შესაბამისად.	02/10/2023)
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისინებულ ვადებში (18.08.2023-20.11.2023) უზრუნველყოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობების შესრულება. კერძოდ, შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისინებულ ვადებში (18.08.2023-20.11.2023) უზრუნველყოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობების შესრულება. კერძოდ, შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე

		სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისი ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისინებულ ვადებში (18.08.2023-20.11.2023) უზრუნველყოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობების შესრულება. კერძოდ, შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023), უზრუნველყოს ,, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და

	მექანიზმები;	მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების“ შემუშავება

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურ კურიკულუმები))	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023), უზრუნველყოს ,,შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის“ შემუშავება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიაკტორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, სკოლამ გაზიარების მიზნით, გამოიყენოს სხვადასხვა გზა (მაგ. დამრიგებლების მიერ მშობლებისთვის სამუშაო ვერსიის

		გაცნობა, კათედრებისთვის მიწოდებ ელექტრონული კითხვარის გაკეთება და სხვა). ასევე, მეტი ჩართულობის მიზნით, თემის წარმომადგენლებს გასაცნობად გაუზიარონ სკოლის ფეისბუქგვერდზეც.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია სკოლამ, არსებული საშტატო ნუსხიდან, განსაზღვროს პერსონალის შეფასების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (იხილეთ ინდიკატორი 3.2.1.1. აღწერა
ინდიკატორი 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს არის ხარისხის მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, სადაც იდენტ იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, სკოლას დადგენილი ექნება ხარისხის უზრუნველყოფის

		წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, განსაზღვრული იქნება რისკების შეფასების მექანიზმები, შეფასების განხორციელების პროცესი, დასკვნის მომზადების, უკუკავშირის და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	მიზანშეწონილი, საბუნებისეტყველო კაბინეტი აღიჭურვოს საჭირო ინვენტარით პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. ასევე, ლაბორატორია უზრუნველყოფილი იყოს სველი წერტილით.

ინდიკატორი 3.6.3.2.	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	სასურველია სკოლამ, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შესაბამისად სკოლის ფეისბუქგვერდზე განათავსოს სავალდებულო ინფორმაცია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სასურველია, მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაიწეროს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები
ინდილატორი 4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება, როგორც პირველკლასელთა, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსული და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი.

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს /გაწეროს კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც გამოიყენებს საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების, და პრიორიტეტების გასათვალისწინებლად.
ინდიკატორი2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვი და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს .
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას ეძლევა რჩევა, უხცო ენების კურიკულუმის ჩარჩოში არსებული უზუსტობები გასწორედეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე. კერძოდ, ., მე 3 და მე-4 კლასში, ინგლისურ ენაში, არ არის სრულად წარმოდგენილი

		კომპლექსური დავალების ქვესაკითხები. ასევე, თემების ქვეთავების ჩამონათვალიც გასამართია. დასახვეწია რუსულ ენაში „მაგალითები შედარებისთვის‘ ნაწილი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და წარმოდგენილ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან გაფორმებული (უფროსი და წამყვანი) ხელშეკრულებები. ასევე, სკოლის ფილოსოფიის გასაჯაროვების მტკიცებულება (ფეისბუქგვერდის მისამართი). წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინდიკატორები (1.1.1.5 და 3.1.2.1) გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა იღებს ვალდებულებას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აღზარდოს სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა და ხელი შეუწყოს მოზარდებში გარემომცველი სამყაროს, ქვეყნის, ოჯახის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გაღვივებას და განვითარებას.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნების აღზრდა, რომელსაც ჩამოუყალიბდება პასუხისმგებლობა საზოგადოების, ქვეყნისა და საკუთარი

თავის წინაშე. ხედვით განსაზღვრული ორიენტირები ხელს შეუწყობს მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნების აღზრდას და სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველი“. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფის მიერ. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის შემაგენლობაში შედიან საგნოვბრივი კათედრების წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითთმმართველობისა და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლები. ყოველივე ეს ადასტურებს, მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველში“ გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და ასევე გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული მისია, ხედვა და ღირებულებების პირველად ვარიანტი ქვეყნდება საჯარო სივრცეში, კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით, სულ მცირე ერთი კვირის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი კვლავ იკრიბება და შეიმუშავებს საბოლოო ვერსიას. როგორც, სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის გეგმა-გრაფიკიდან, ჩანს სკოლის მისია, ხედვის და ღირებულებების პირველადი ვერსიის გაზიარება 28 ივნისისთვის იყოს განსაზღვრული. სკოლის წარმოადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ფილოსოფიის პირველადი ვერსია, გაზიარების მიზნით გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რამდენადაც უკუკავშირი არ ყოფილა, შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები მიიღეს პირველადი სახით, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის განთავსდება სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე. **სასურველია, სკოლამ გაზიარების მიზნით გამოიყენოს სხვადასხვა გზა(მაგ. დამრიგებლების მიერ მშობლებისთვის სამუშაო ვერსიის გაცნობა, კათედრებისთვის**

მიწოდება, ელექტრონული კითხვარის გაკეთება და სხვა). ასევე, მეტი ჩართულობის მიზნით, თემის წარმომადგენლებს გასაცნობად გაუზიარონ სკოლის ფეისბუქგვერდზეც.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ ,,ვიზიტის დროს, რევიზირებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. სკოლის განმარტებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. კერძოდ, გამოიკვრება ფოიეში და გავრცელდება სოციალურ ქსელში. **ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულებად მითითებულია სკოლის ფეისბუქგვერდის მისამართი. ფუისბუქგვერდის დათვალიერებით დასტურდება სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) საჯაროდ ხელმისაწვდომობა. სასურველია, სკოლას ასევე წარმოედგინა ფოტომასალა შენობის ფოიეში საჯაროდ განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებების შესახებ.**

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „ სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა“, რაც დასტურდება სამივე მისამართზე განთავსებული სკოლების ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველი.
- დირექტორი ბრძანება N 2-63 სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ.
- დირექტორის ბრძანება N 2-62 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფის შექმნაზე
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882022940379; N 882013331601; N 892022010353

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიურ საფუძველის“ სახით. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი აღწერილია, როგორც დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით განხორციელებული პროცესი. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ცალკე გაწერილია ე.წ. დაგეგმვის გეგმა, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობა/ჩართულობის ფორმები და გასატარებელი ღონისძიებები. მაგალითად, დაგეგმვის ჯგუფის მიერ დამტკიცებული გეგმის და ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობების შესაბამისად, ხდება დაინტერესებულ პირთა (სამიზნე ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები) გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად ზუსტდება მათი მოლოდინები სკოლის მიმართ; სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მზადდება ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია. პირველ ეტაპზე მოკრებილი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაგეგმვის ჯგუფი განხილვების შედეგად ჩამოაყალიბებს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ განაცხადს (swot ანალიზი). განაცხადი გასაჯაროვდება და სულ მცირე ერთი კვირის განმავლობაში სასკოლო საზოგადოებას ექნება საშუალება გამოთქვას მოსაზრებები და გაუზიაროს საკუთარი უკუკავშირი სკოლა. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის უფრო მცირე და შედარებით მოკლე ვადაში შესასრულებელი ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც ერთი წლის პერსპექტივით შემუშავდება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ ,,სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფს აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმით, შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცება განსაზღვრული იყო 14 ივლისისთვის, თუმცა ვიზიტის დროს (3-4 აგვისტოს)

სკოლა ჯერ კიდევ მუშაობდა ამ მიმართულებით და სტრატეგიული განვითარების გეგმა არ იყო შემუშავებული“. **ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადანაც ჩანს რომ 30/10/2023 -მდე სკოლა შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას. ასევე განსაზღვრულია რისკის დადგომის ალბათობა 0%. როგორ სკოლის ფეისბუქიდან ჩანს სკოლას უკვე განსაზღვრული აქვს ძირითადი პრიორიტეტები.**

ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილად შესაბამისობაშია.

3. .დასკვნის პროექტის თანახმად, ,,სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. როგროც ავღნიშნეთ, სკოლაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნაზე. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის მიხედვით, სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება სტრატეგიული გეგმის საფუძველზე“. ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც სკოლა (06/11/2023-22/11/2023) პერიოდში გეგმავს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სტრატეგიულ გეგმის შემუშავების შემდეგ.

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად შესაბამისობაშია.

4. როგროც დასკვნის პროექტში აღვნიშნეთ, ,,ამ ეტაპზე სკოლას არა ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებული. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ცალკე პუნქტად გაწერილია სამოქმედო გეგმის შედგენის საკითხი. სადაც აღნიშნულია, რომ სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაგეგმვის ჯგუფი შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, კონკრეტული ჩარჩოს შესაბამისად. სამოქმედო გეგმის ჩარჩოში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, განხორციელების მექანიზმები, ვადები, რესურსები,ინდიკატორები/ სამიზნე ნიშნულები პასუხისმგებელი სტრუქტურები, ჩართული მხარები“

ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების (06/11/2023-22/11/2023) ვადები ასევე განსაზღვრულია რისკის დადგომის ალბათობაც 0%. სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის ჩარჩის დიზაინი, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. კერძოდ განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები, განხორციელების მექანიზმები, ვადები, რესურსები,ინდიკატორები/ სამიზნე ნიშნულები პასუხისმგებელი სტრუქტურები, ჩართული მხარები“

ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილად შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველი.
- დირექტორი ბრძანება N 2-63 სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია ეტაპები და საკითხები, რომლებზეც უნდა იმუშავონ პასუხისმგებელმა პირებმა და ერთ-ერთი მათგანი არის მონიტორინგის გეგმის შემუშავება. დოკუმენტში ასევე გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, კვლევის შედეგების ანალიზი და

სტატისტიკა, მისიისა და ხედვის ტექსტების შეფასება და გადახედვა. მეთოდოლოგიის თანახმად მონიტორინგის გეგმა უნდა მოიცავდეს მონაცემეთა მოკრების/ ანალიზის მეთოდებსა და პასუხისმგებელ პირებს.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობა, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და ინტერების გათვალისწინებით, შეაფასოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. რამდენადაც, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად **ინდიკატორიც ამ ეტაპზე ვერ ფასდება.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით („სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ცვლილებების მომზადება“). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები **ვერ ექნებათ გასაჯაროებული.**

4..სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით, სკოლას განსაზღვრული აქვს შესრულების შედეგები გამოყენების მექანიზმები, რომელიც გაწერილია მეთოდოლოგიის მე-5 თავში- „სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად ცვლილებების მომზადება“. რამდენადაც, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, არ დამდგარის პროცესების პირობებში, **ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტით აღწერილი იყო, რომ ,,სკოლამ სქემის სახით წარმოადგინა საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, სკოლის დირექციას (დირექტორი და ბუღალტერი), ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი,

ბიბლიოთეკარი) და 7 კათედრას. სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია: ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდანჭერი სპეციალისტები (სპეც.მასწავლებებლი და სსსმ პირის ასისტენტი, დამლაგებელი-4, დარაჯი-4, ცეცხლფარეში-2).

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება 02-72-ით დამტკიცებულ ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულება“, სადაც გაწერილია სკოლის დირექტორის, ბუღალტრის, სკოლის ექიმის, ბიბლიოთეკარის, დასუფთავების სამსახურის (დამლაგებელი), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მასწავლებლის და კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები. დებულებაში არ გვხვდება სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. მაგალითად, სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმართველობის. თუმცა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. მაგალითად საქმისმწარმოებლის, სპეც. მასწავლებლის, სსსმ პირის ასისტენტის და დარაჯის. რაც შეეხება საქმისმწარმოებლის ხელშეკრულებაში გაწერილი სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები არის ძალიან ზოგადი (შესარულოს შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები, იზრუნოს სკოლის განვითრებაზე, გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას, აანაზღაუროს მის მიერ სკოლისთვის მიყენებული ზარალი, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები) და საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას პოზიციის და შესასრულებელი საქმიანობის შესაბამისად. ,,სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულების“ მიხედვით გაწერილი **დირექტორის ფუნქციები არ შეესაბამება საჯარო სკოლის დირექტორის ფუნქციებს,** რომელსაც არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ კერძოდ, სკოლის დებულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი, ხოლო სკოლის პედსაბჭო მხოლოდ განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმას. თუმცა რეალური სიტუაცია სკოლაში სხვაა. შინაგანაწესი ,,ზოგადი განათლების კანონის“ შესაბამისად დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სხდომის ოქმი #2 (13/09/2022წ.) და სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედ. საბჭო.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულებით“ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის შესაბამისობაში რეალურად სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების. ასევე, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული/პირის (დირექტორი, პედაგოგიური საბჭო) ფუნქციები არ არ შესაბამისობაში ,,ზოგადი განათლების კანონთან“

ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და სკოლას აძლევს რეკომენდაციას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა (მათ შორის შრომით ხელშეკრულებებში) და ,,ზოგადი განათლების კანონთან“ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ ,,სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამ მისამართზე, ამდენად მნიშვნელოვანია სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორად იყოს გადანაწილებული. გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. პროცესების ეფექტურად მართვის მიზნით, გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებულია რამდენიმე პირი. საშტატო განრიგით ჩანს, რომ ოთხი დამლაგებელი გადანაწილებულია სამ მისამართზე (სიმონიანთეხევის მისამართზე-2, გორანა და თოლენჯის მისამართებზე თითო-თითო), ასევე გადანაწილებულია სკოლის 4 დარაჯი, რაც შეეხება ორ ცეცხლფარეშს- მუშაობენ ცვლებში სიმონიანთხევის მისამართზე. (აღნიშნულ მისამართზე ცენტრალური გათბობა არის შეშაზე).

   გადანაწილებული ფუნქციები რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების მუშაობის შეფასებით. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დებულება“. დებულების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს როგორც ხარისხის მართვის სამსახური (თუმცა სკოლის სტრუქტურით არ არის განსაზღვრული), ასევე ხარისხის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასება და მასწავლებლების საქმიანობის შეფასება. ხარისხის

სამსახურის ფუქციები კი მოიცავს: ხარისხის უზრუნელყოფის შიდა მექანიზმების შემუშავებას სკოლაში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და ტექნიკური პერსონალის შეფასებას და შემდგომი განვითარების მიზნით ტრენინგების ჩატარების ორგანიზებას. თუმცა რამდენადაც სკოლის სტრუქტურით და ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულებით", არ დასტურდება ,,ხარისხის მართვის სამსახურის" არსებობა ბუნდოვანია ვინ უზრუნველყოფს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება, თან ისეთ პირობებში, როდესაც სკოლას მკაფოდი არა აქვს განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმისმწარმოებლის ფუნქციები ზუსტად და მკაფიოდ ვერ აღწერს საქმისმწარმოებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს. ასევე სკოლის დირექტორის და პედ. საბჭოსთვის გაწერილი ფუნქციები არ შეესაბამება ,, ზოგადი განათლების კანონს". სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც ნათლად გამოჩნდებოდა კონკრეტული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების გადანაწილება რამდენად რელევანტურია მათთვის განსაზღვრული ფუნქციების.

ამრიგად, დირექტორის მ/შ ბრძანება 02-72-ით დამტკიცებულ ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულება"; ,,ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დებულება" და საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ, გაწერილი ფუნქციების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ხარისხი რამდენად ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას."

ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების მკაფიოდ განსაზრვრული ფუნქციების ჩამოყალიბება.

ინდიკატორი 3.1.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)
- დირექტორის მ/შ ბრძანება 02-72-ით დამტკიცებულ ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულება“
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ ,,სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის

პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, სკოლის შინაგანაწესის და სხვა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხორციელდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი პირობების დაცვის წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. **მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გაცნობით დგინდება, რომ ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული ,,შრომითი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი“ რეგულირდება ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტით. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც სკოლაში დასაქმებულთან (მასწავლებებლთან) გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გარკვეული პუნქტი რეგულირდება ძალადაკარგული საკანომდებლო აქტით. ‘

ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლებთან (უფროსი და წამყვანი) გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება,რაც ითვალისწინებს

პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლის დირექტორი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესთ განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არგამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში, უზრუნველყოს ფუნქციათა დელეგირება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მიზნებიდან და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, სკოლამ უნდა უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე პერსონალთა მოზიდვა. ამისთვის სკოლა წინასწარ განსაზღვრული აქვს საჭირო კადრის საკვალიფიკაცი მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულებაში“.

დოკუმენტის თანახმად, სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვის და დაქირავების გამჭირველე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისთვის თანაბარი შესაძლებელობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. მასწავლებლის გარდა სხვა კადრის შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსით, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, სადაც გაწერილია კონკურსის ჩატარების პრინციპები, საკონკურსო და სააპელაციო კომისიის შემნისა და მუშაობის წესები, კონკურსის გამოცხადების და ჩატარების პროცედურები. ასევე, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი. დოკუმენტს დანართებს სახით ერთვის კანდიდატის შეფასების ფორმები: კანდიდატთა შეფასების ფორმა პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით, კანდიდატთა შეფასების ფორმა პიროვნული უნარ-ჩვევების მიხედვით, კანდიდატთა შეფასების ჯამური ფორმა.

დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ ,, სკოლამ წარმოადგინა ექიმის, სპეც. მასწავლებლის და სსსმ პირის ასისიტენტის საკონკურსო მასალები. აღნიშნული კანდიდატების პირადი საქმის შესწავლამ აჩვენა, რომ არა არის წარმოდგენილი **კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ,,საქმიანობის უფლების ჩამორთმევაზე“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. წარმოდგენილია მხოლოდ ნასამართლეობის ცნობა. აღნიშნულიდან გამომდენარე სკოლა ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული კადრების მოზიდვას.“**

3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04/09/2023-04/10/2023) უზრუნველყოს პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი: ,,საქმიანობის უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობების მოპოვება.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი, მათ შორის 23 მასწავლებელია. აქედან, ერთი პრაქტიკოსი სპეც. მასწავლებელია, ხოლო 22 უფროსი. სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო

მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურსის წესით არიან შერჩეულნი სკოლის ექიმი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სპეც მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი), რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებილი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მართვის ძირითად პრინციპები და ღირებულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია მონაწილეობის პრინციპი. პოლიტიკის დოკუმენტით, ასევე განსაზღვრულია ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების მექანიზმები. კერძოდ, თანამშრომელთა შორის (როგორც სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები, ასევე მასწავლებლები) ეფექტიანი ურთიერთობის და გუნდური შეჭიდულობის მიზნით სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და თანამშრომლთა მიერ სხვადასხვა ინიციატივების წარდგენა ორგანიზაციულ საკითხზე როგორც ფოკუს-ჯგუფებში, ისე უშუალო ხელმძღვანელთან პირდაპირი კომუნიკაციით. სკოლის დირექტორის განმარტებით, თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების მუშაობა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს და გადაწყვეტილების მიღება ხდება კემჭისყრის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6 სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა

წახალისების, კარიერული განვითარების და პროფესიული განვითარების საფუძველი. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- დირექტორის მ/შ ბრძანება 02-72-ით დამტკიცებულ ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დებულება“
- საკონკურსო მასალები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიში აღწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანზმები. კერძოდ, სკოლის პერსონალის საჭიროებებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და გამოსწორების გზების დასახვა, პერსონალის ძლიერი მხარეების გამოვლენა და განმტკიცება/ განვითარების ხელშეწყობა. პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის დაგეგმვა. პერსონალის შეფასებისთვის, დირექტორის ბრძანებით წინასწარ განისაზღვრება შეფასების ვადები, პერიოდი, პროცედურები და მეთოდები. პერსონალის საქმიანობას აფასებს დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი. სკოლის მასწავლებლის შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ვალდებულებების შეფასებას. მასწავლებლის შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეთა წარმატებებიც.

სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებს იყენებენ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისათვის. ადამიანური პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მონიტორინგს, ადარებს წინა შეფასების შედეგებს და ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს. თუმცა, სკოლას საშტატო

მონაცემებით ასეთი პოზიცია არა აქვს განსაზღვრული. სასურველია, სკოლამ, არსებული საშტატო ნუსხიდან, განსაზღვროს პერსონალის შეფასების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება სკოლის ადამიანური რესურსის მართვის არსებითი ნაწილია. პროფესიული განვითარების მიზანია სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანად შესრულებას.

პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია: პროფესიული განვითარების საფუძველები, ვადები, პერიოდულობა, მეთოდები/აქტივობების ფორმა(ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.) და თემატიკა. სკოლის დირექტრი, შერჩეული მეთოდის/აქტივობის შესახებ აგროვებს ინფორმაციას (ფინანსური ხარჯები, ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა და ა.შ.) და უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა აცხადებს მაზაობა, იზრუნოს სკოლის პერსონალის განვითარებაზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და სამოქმედო გეგმა არა აქვს შემუშავებული, იდენად არ ჩანს პროფესიული განვითარებისთვის რა სახის აქტივობებია დაგეგმილი და რა ტიპის რესურსებს გამოყენებს დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად. ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. იღებს მონაწილეთა უკუკავშირს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და აფასებს აქტივობის ეფექტიანობას, აწარმოებს პროფესიული განვითარების აქტივობებში თანამშრომელთა მონაწილეობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ინახავს პროფესიული აქტივობების ამსახველი დოკუმენტებს. (სერტიფიკატების, სიგელების.). პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციას დირექტორი იყენებს პერსონალის კარიერული წინსვლის გეგმის შემუშავებისთვის. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული გეგმა სკოლას არა აქვს

შემუშავებული, თუმცა წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, სკოლა აცხადებს მზაობას, რომ სკოლის პერსონალს ექნება ხელშეწყობა კარიერული ზრდის მიმართულებით. რაც შეეხება მასწავლებებს, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა".

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია ინტეგრაციის მიზნები, ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი პირი და აღწერილია ინტეგრაციის პროცესი, რომელიც მოიცავს: ახალი თანამშრომლისთვის სკოლის მისია, მიზნების, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციების გაცნობას. სკოლის დირექტორი ახალ თანამშრომელს აცნობს მის სამუშაო აღწერილობას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში, საჭიროების შემთხვევაში დგება კონკრეტული ტრენინგ-პროგრამა ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია, რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დებულება“, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას განსაზღვრული აქვს შექმნას, ხარისხის მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის (შემდგომში ,,ჯგუფი“). წარმოდგენილია ორივე ორგანოს ფუნქციები. კერძოდ, ხარისხის მართვი სამსახურის ფუნქციაა-ხარისხის უზრუნელყოფის შიდა მექანიზმების შემუშავება სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება) ჩართული პერსონალის განვითარების ხარისხის სისტემატიური შეფასება და ზრუნვა მათ პროფესიულ ზრდაზე, ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესების ორგანიზება. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავება,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე, პრინციპის დაცვით.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. თუმცა, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, სკოლას დადგენილი ექნება ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, განსაზღვრული იქნება რისკების შეფასების მექანიზმები, შეფასების განხორციელების პროცესი, დასკვის მომზადების, უკუკავშირის და რეკომენდაციების შესრულებს მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი ჯგუფის დებულებით, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოების დებულებებით: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო აღწერილია მმართველობით პროცესებად, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა დოკუმმენტებით.

სასურველია სკოლამ ,,ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით“ განსაზღვროს სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მართველობითი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერილობა

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, სადაც სკოლის პერსონალს, მოსწავლეს და მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს უფლებას აქვს დირექტორთან ან/და სამეურვეო საბჭოსთან წარადგინოს საჩივარი მისი უფლებების დაცვაზე. აღნიშნული დოკუმენტის დანართებს წარმოადგენს დირექტორის და სამეურვეო საბჭოს სახელზე განცხადების/საჩვრის წარდგენის ფორმები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში. ,,კონკურსის ჩატარების წესის‘‘ თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებილი აქვს ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი და სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით, სადაც

გაწერილია როგროც მოსწავლების ასევე, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი დოკუმმენტებში გაწერილი წესების და პორობების შესაბამისად. კერძოდ, სკოლა აქვს შინაგანაწესი, ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და სკოლის ექიმი, თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს აცნობს მათ უფლებების და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა-ბრძანება N2 – 68
- სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით; ბრ. N2 – 70
- დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დებულება
- კურიკულუმის დაგეგმვით მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, ინფორმირების მიზნით, სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა, სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესი და პერიოდულად ქვეყნდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას უზრუნველყოფს დამრიგებელი. სასწავლო წლის დაწყებისას მას ევალება მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლას არა აქვს ვებგვერდი, თუმცა ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ფეისბუქგვერდის მუშაობაზე და ინფორმაციის დროულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენათ ატარებს გამოკითხვას წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. მაგალითად, სკოლამ წარმოადგენა კითხვარები: მე-5 კლასიდან მე-2 უცხოების არჩევაზე, მშობელთა გამოკითხვა სკოლაში ფასიანი წრეების გახსნის შესახებ, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასურველი საგნობრივი წრეების შეთავაზება. მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კოლეგიალურ ორგანოებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მათი ფუნქციები განსაზღვრულია ზოგადი განათლების შესახებ კანონით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუქგვერდი: https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola
- სკოლის შინაგანაწესი
- ფეისბუქგვერდის ადმინნისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N2-69
- შემუშავებული კითხვარები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს, შესაბამისი კვალიფიკაციის უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს მანდატურის სამსახური მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. სკოლის ერთიშენობა (სოფელი სიმონიანთხევი) აღჭურვილია ვიდეოკამერებით, თუმცა არასაკმარისია სრული პერიმეტრის გასაკონტროლებლად. კერძოდ, შენობის შიდა პერიმეტრიში არ კონტროლდება კიბის უჯრედები. ასევე გარე პერიმეტრის ერთი ნაწილიც. რაც შეეხება სკოლასთან ადმინისტრაციულად მიერთებულ სოფელ გორანის და სოფელ თოლენჯის დაწყებით სკოლებს, აქ საერთოდ არ არის დამონტაჟებული ვიდეო კამერები. სკოლას აღნიშნულის შესახებ გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოში. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის სამივე ლოკაციაზე პერიმეტრი შემოღობილია. სკოლას ჰყავს 4 დარაჯი, რომლებიც გადანაწილებულია სამივე მისამართზე. (2 სიმონიანთხევი, ერთი გორანა და ერთი თოლენჯი). გათბობის სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ორი ცეცხლფარეში. (სიმონიანთხევის მისამართზე ცენტრალური გათბობის სისტემა მუშაობს შეშაზე). სკლას სახნძრო უსაფრთხოებაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი და წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმა ,,სიმულაცია -ხანძარი, უსაფრთხოების წესების დაცვა ხანძრის დროს, საგანგებო სიტუაციების დროს მიმდინარე საფრთხეები“.
პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ჰყავს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექიმი. სიმონიანსთხევის მისამართზე,

პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი პირველადი დახმარებისთვის საჭირო აღჭურვილობით. თუმცა კაბინეტში არ იყო პაციენტის გასასინჯი სივრცის პრივატულობა დაცული. გორანასა და თოლენჯის მისამართებზე სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი.

მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ ,,შემუშავებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც **არ არის შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან.** სკოლას **არა აქვს დასკვნა (არც ერთ მისამართზე) შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** წარმოადგინილია სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზედ რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N541; 32/06/2021 საიდანაც ჩანს, რომ სკოლას 2022 წლის აპრილის ბოლოსთვის უნდა შეესრულებინა მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციები. საბოლოო დასკვნის მისაღებად 2023 წლის 28 ივნისს წერილით მიმართა, შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმების თაობაზე. სკოლა არა აქვს წარმოდგენილი ახალი მიწერილობა **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** ასევე, სკოლას **არა აქვს დასკვნა (არც ერთ მისამართზე) შენობების მდგრადობის შესახებ.** გაგზავნილია წერილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად.“

არსებული მექანიზმებით სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რადგან, არა აქვს დასკვნა (არც ერთ მისამართზე) შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც მიწერილობა. ამ ეტაპზე არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, არ არის დასკვნა(არც ერთ შენობის) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე. სკოლა არ არის სრულად აღჭურვილი ვიდეოკამერებით“

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დანართების სახით შესაბამის უწყებებთან მიწერილი წერილები და შესაბამისობის გეგმა.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:

- **შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.(28/06/2023-20/06/2024)(**
- **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან.(04/08/2023-01/08/2024)**
- **შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება (06/07/2023-01/07/2024)**
- **სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა სოფელ გორანის და თოლენჯის დაწყებოთი სკოლების მისამართზე, ხოლო გარემონაკვეთის და კიბის უჯრედების აღჭურვა სიმონიანთხევის მისამართზე (30/07/2023-20/07/2024)**

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის საქმისწარმოება, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ,,სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი", რომელსაც აქვს შესაბამისი სერთიფიკატი. სკოლაში დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება დარაჯის მიერ. სკოლაში მოქმედებს მორიგეობის განრიგი. სასკოლო გეგმით წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

როგორც დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ, ,,სკოლის შენობები სრულად **არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით** (სოფელ გორანის და სოფელ თოლენჯის დაწყებით სკოლების შენობებში საერთოდ არ არის ვიდეოკამერები, ხოლო სიმონიანთხევის ლოკაციაზე კიბისუჯრედები და გარეპერიმეტრის გარკვეული მონაკვეთ არ კონტროლდება)

ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (30/07/2023-20/07/2024) უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა სოფელ გორანის და თოლენჯის დაწყებოთი სკოლების მისამართზე, ხოლო გარემონაკვეთის სრულად და კიბის უჯრედების აღჭურვა სიმონიანთხევის მისამართზე

ინდიკატორი 3.4.1.2. მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სკოლაში არსებული, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, მოწესრიგებული ეზო ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. საზიარო სივრცეები: ღია სპორტული მოედნები, კომპიუტერული კლასი ეხმარება მოსწავლეებს სოციალიზაციის პროცესში. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში (სამოქალაქო განათლების კლუბი ,,კოპალა“) განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია თემები მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენის უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილი წესები, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს უქმნის დაცულობის გარანტიებს. სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში წესრიგის და ისაფრთხოების დაცვას. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება იტქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემაციურად და ფქსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. კერძოდ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში საშტატო განრიგით განსაზღვრულია 4 დამლაგებლის დასაქმება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების კორპუსებში შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. დამლაგეგბლები განსაზღვრულლია სკოლის სამივე ლოკაციაზე. სკოლის სამივე შენობაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის. და ასევე ეზოშიც (გორანა და სიმონიანთხევი). სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას აქვს წყლის ავზები. სამივე შენობის სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი, რომელც სპეციალურ ფორმის საშუალებით ამოწმებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოს.

ინდიკატორი3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ ,,სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის“ დოკუმენტი. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მონაცემთა დაცვის მიზნები, საფუძვლები, სუბიექტები და კატეგორია, მონაცემთა

მიღების წყაროები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს). მონაცემთა შენახვა/გამჟღავნების წესები, ვიდეომონიტორინგი, თანამშრომელთა ვალდებულებები, მონაცემთა უსაფრთხოება და წვდომა. პერსონალური ინფორმაიის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. აღნიშნულ წესში გვხვდება ჩანაწერი, ,,სკოლა, მანდატურის სამსახურთან ერთად, ვიდეოსათვალთვალო სისტემას იყენებს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად".

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერების უფლება. ვიდეოსათვალთვალო სისტემით ნაწილობრივ (იხ. ინდიკატორი 3.4.1.2) აღჭურვილია მხოლოდ სოფელ სიმონიანთხევის შენობა. მონიტორი საიდანაც შეიძლება კამერების დათვალიერება განთავსებულია დირექტორის კაბინეტში და მასზე მუდმივი წვდომა არა აქვს უფლებამოსილ პირს. დირექტორის კაბინეტი ვერ იქნება ადგილი, სადაც ვიდეოთვალთვალის დროს დაცული იქნება სუბიექტის კონფიდენციალობა.

დაასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ,,პერსონალური მონაცემების დაცვის" დოკუმენტში გაწერილი წესები და ნორმების ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთან დაცვას. კერძოდ, ვიდეომონიტორინგზე დოკუმენტით გამსაზღვრული სტრუქტურული ერთეული/პირი, მანდატურის სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი სკოლას საერთოდ არ ჰყავს, ხოლო უფლებამოსილი პირი ვერ ახორციელეს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებას- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას, რამდენადაც მონიტორი, სადაც ხდება კამერების დათვალიერება, განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, რაც ასევე ვერ უზრუნველყოფს პიროვნების კონფიდენციალობის დაცვას და არღვევს საქართველი კანონის ,,პერსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მე-10 მუხლს ,,ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესახებ"

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20/09/2023-20/10/2023) უზრუნველყოს ხარვეზის გასწორება. კერძოდ, სკოლის ,,პერსონალური მონაცემების დაცვის" დოკუმენტის შესაბამისობა სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. ასევე, უზრუნველყოს ვიდეოდათვალიერება განხორციელდეს ,,პერსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის ,,ვიდეომონიტორინგის განხორციელება" შესაბამისად.

ინდიკატორი 3.4.1.5 მეტწილ შესაბამისობაშია.

6.. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია კიბერუსაფრთხოებასთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით საინფორმაციო და შემეცნებითი აქტივობების ჩატარება.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში ხდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასება, რაც დასტურდება დირექტორის მ/შ, 2022-2023 წლის 03 აგვისტოს ანგარიშით, ,,სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.“ ანგარიშში ნათქვამია, რომ უსაფრთხოების მიზნით საჭიროა ვიდეოსათვალთვალი კამერების დამატება სოფელ სიმონიანთხევის მისამართზე, ასევე ადმინისტრაციულად მიერთებული სოფელ გორანის და სოფელ თოლენჯის დაწყებითი სკოლების შენობების აღჭურვა სამეთვალყურეო კამერებით. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სკოლამ დახმარებისთვის მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა
3. დირექტორი ბრძანება 2-66 ,,პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
4. დირექტორი მ/შ, 2022-2023 წლის 03 აგვისტოს ანგარიში ,,სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით’.
5. უფლებამოსილი პირის სერთიფიკატი
6. ექიმის ხელშეკრულება და სახელმწიფო სერთიფიკატი

7. დირექტორის ბრძანება 2-71 ,,სადეზინფექციო მარაგების და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
8. ბრ. 1კ-1 ,, სახანძრო უსაფრთხოებისმოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
9. MES 7 23 0000966439 წერილი შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებაზე’
10. MES 9 23 0000781832 წერილი შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამოსობის შემოწმებაზე
11. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილო N 541; 23/06/2021
12. MES 1 23 0000838011წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს
13. MES 7 23 0000942697 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს, ვიდოეკამერების შესახებ.
14. MES 3 23 0001112819 წერილი შსს სსდ-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადებაში დახმარებაზე; 08/09/2023.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის საჯარო სკოლა მოიცავს სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლას და სკოლასთან ადმინისტრაციულად მიერთებულ სოფელ გორანის და სოფელ თოლენჯის დაწყებით სკოლებს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სკოლის შენობა-ნაგებობები, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოფელ სიმონიანთხევში არსებული შენობა ორსართულიანია და განკუთვნილია სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის. რაც შეეხება გორანას და თოლენჯის დაწყებით სკოლების შენობებს, ერთსართულიანია. სამივე შენობაში სულ 14 საკლასო ოთახია. აქედან სოფელ სიმონიანთხვის საშუალო სკოლაში 10 საკლასო ოთახი (ორი კლასკომპლექტი), ხოლო გორანასა და თოლენჯში 2-2 საკლასო ოთახი I-IV კლასკომპლექტებისთვის(I-III კლასი და II-IVკლასკომპლექტები).

საკლასო ოთახების გარდა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, სპორტული დარბაზი, სამოქალაქო კლუბის კაბინეტი, ხელოვნების კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი და ბუღალტრის სამუშაო ოთახი (სიმონიანთხევი მისამრთზე). სამასწავლებლო გათვალისწინებულია სამივე მისამართზე. ღია სპორტული მოედანი აქვს სიმონიანთხევისა და თოლენჯის სკოლებს. გორანას სკოლის შენოობაში მოწყობილია სპორტული აქტოვობებისთვის სივრცე და ასევე სამკითხველო კუთხე. სამივე შენობაში არის სველი წერტილები ბიჭებისა და გოგნებისთვის, ასევე სიმონიანთხევისა და გორანას შენობებში არის ადაპტირებული სველი წერტილები. თოლენჯისა და სიმონიანთხევის მისამართზე ეზოში მოწყობილია სველი წერტილები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გორანას შენობას აქვს საგარდერობო სივრცე, რომელიც აღჭურვილია პირადი ლოკერებით. თოლენჯის სკოლის შენობაში მოწყობილია რესურსოთახი. სამივე შენობას აქვს მოწესრიგებული ეზო. მუდმივი წყლის უზრუნველსაყოფად ეზოში მოწყობილია წყლის ავზები. სიმონიანთხევისა და გორანას შენობებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემები (სიმონინთხევში-შეშაზე, ხოლო გორანაში-ელ.ენერგიაზე). თოლენჯის შენობის გათბობას უზრუნველყოფს ინდივიდუალური დახურული ტიპის ელექტრო გამათბობლები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით. სკოლაში არის-110 მერხი, აქედან 20-20 გორანასა და თოლენჯში. თუმცა დასაწყობებულია მერხების გარკვეული რაოდენობაც.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები იძლევა მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის დაკმაყოფილების საშუალებას.

ინდიკატორი 3.5.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. კერძოდ, სკოლის

სამივე ლოკაციაზე არის მოწესრიგებული ეზოები, სამივე შენობა უზრუნველყოფილია სამასწავლებლოთი და საერთო სარგებლობიბს დერეფნებით. სკოლას ორ მისამართზე აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი (სიმონიანთხევი), სპორტული აქტივობებისთვის სივრცე აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (თოლენჯი). კომპიუტერული კლასი მოწყობილია სიმონიანთხევის შენობაში, თუმცა გორანასა და თოლენჯის დაწყებითი სკოლებიც უზღუნველყოფილია კოპიუტერული ტექნიკით. (3 ლეპტოპი გორანა და 1 პორტატული კომპიუტერი თოლენჯი), მოსწავლეებს აქვთ ბუკები. ბიბლიოთეკა განთავსებული სიმონიანთხევის მისამართზე, შემუშავებულია ბიბილიოთეკის დებულება (სარგებლობის წესი), ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხულია და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში. სამკითხველო სივრცე აქვს თოლენჯის სკოლას, სადაც განთავსებულია ფერადი პუფები და წიგნის თარო. გორანას დაწყებით სკოლაში, კლასებში მოწყობილია წიგნის თარო, სადაც განთავსებულია ასაკის შესაბამისი ლიტერატურა.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.როგროც, დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ ,, სკოლის ინფრასტრუქტურა **სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.** კერძოდ, სიმონიანთხევისა და თოლენჯის სკოლის შენობების შესასვლელები არ არის უზრუნველყოფილი პანდუსებით. ადაპტირებული სველი წერტილი არა აქვს თოლენჯის სკოლის შენობას. სპოტრული დარბაზში ჩასასვლელს არა აქვს პანდუსი(სიმონიანთხევის შენობა). რამდენადაც, დაწყებითი (1-4 კლასებისთვის) საფეხურის მოსწავლეებისთვის გორანას მისამართზე უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო და სკოლას აქვს ტრანსპორტის მომსახურეობა, შეიძლება ითქვას, რომ 1-4 კლასის შშმ მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო. ხოლო საბაზო, საშუალო და დაწყებითი საფეხურის 5-6 კლასები, რომლებიც ფუნქციონირებს სიმონიანთხევის მისამართზე არ არის სრულად ადაპტირებული. (არ არის პანდუსები გათვალისწინებული შენობის შესასვლელში და სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად). სამივე მისამართზე განთავსებული სკოლები ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ერთ სუბიექტად სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის საჯარო სკოლად, აქედან გამომდინარე სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში ყველა პირისთვის არ არის უზრუნველყოფილი ინკლუზიური გარემო“.

3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ წერილით მიმართა დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს (MES 7 23 0001197892; 20/09/2023) **და**

განსაზღვრია ვადები. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (20/09/2023-10/09/2024) უზრუნველყოს ყველა პირისთვის სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა.

ინდიკატორი 3.5.1.3. მეტწილ შესაბამისობაშია

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, სკოლის შიდა სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, ღია სპორტული მოედნები, საოქალაქო განათლებისა და ხელოვნების კაბინეტები, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4.დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), სიმონიანთხევის მისამართზე მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 12 ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. თოლენჯის (1 კომპოუტერი და 1 პროექტორი) და გორანას (3 ლეპტოპი და 2 პროექტორი) დაწყებით სკოლებისთვის განსაზღვრულია კოპლიუტერული ტექნიკა და პროექტორები, ასევე მოსწავლეებს აქვთ ბუქები.

ფიზიკური აღზრდა- გორანას დაწყებით სკოლაში არის, როგროც ღია სპორტული მოედანი ასევე შენობაში გამოყოფილია სივრცე სპორტული აქტივობებისთვის შესაბამისი აღჭურვილობით. თოლენჯის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სპორტის გაკვეთილებს ატარებენ ეზოში, ხოლო უამინდობის დროს სარგებობენ შენობაში არსებული დერეფნით (სკოლაში არის ორი კლასკომპლექტი). სიმონიანთხევის მისამართზე სპორტის გაკვეთილებისთვის არის ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა. ჭადრაკის გაკვეთილებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი ინვენტარი.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მიმართულებას, ძირითადად იყენებენ ასაკის შესაბამის თვალსაჩინოებებს. სიმონიანთხევის მისამართზე არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით, საბაზო და საშუალო საფეხურები ფუნქციონირებს მხოლოდ სიმონიანთხევის მისამართზე. აღნიშნულ მისამართზე არის სბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიის ოთახში გამოფენილია მრავალფეროვანი მიზნობრივი თვალსაჩინოებები. დგას სადემონსტრაციო მაგიდა. ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც განთავსებულია კარადები, ლაბორატორიის ინვენტარისთვის. სკოლას აქვს ძალიან მწირი

ლაბორატორიული აღჭურვილობა. ვიზიტის დროს, ლაბორატორია არ იყო უზღუნველყოფილი სველი წერტილით და გამწოვი მოწყობილობით. თუმცა ოთახში არის დიდი ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს განიავების საშუალებას. საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნობრივ კურიკულუმებს თუ გადავხედავთ, თვალსაჩინოა, რომ მწირი ლაბორატორიული აღჭურვილობის გამო, მასწავლებლები ძირითადა ინტერნეტ რესურსებსა და ილუსტრირებულ თვალსაჩინობებს იყენებენ, რისი შესაძლებლობაც სკოლაში არის. ან კიდევ გათვალისწინებულია ძალიან მარტივი ცდების განხორციელება. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს საჭირო რესურსი, საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული სამუშაობის ჩასატარებლად. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას.

სპორტის გაკვეთილებისთვის, სკოლა უზრუნველყოფილია ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურით.

კომპიუტერული კლასი-საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, თუმცა მიზანშეწონილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვის პრაქტიკული სამუშაობის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882022940379; N 882013331601; N 892022010353
2. საკადასტრო გეგმა

3. შენობების აზომვითი ნახაზები
4. დირექტორის ბრძანება 2-39; 02/12/2022 სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ
5. საგნობრივი კურიკულუმები
6. ბიბლიოთეეკის დებულება
7. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი.
8. წერილი (MES 7 23 0001197892; 20/09/2023) დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, შიდა და გარე პანდუსების მოწყობის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,, ციფრული განვითარების გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სკოლის ხედვას საგანმანათლებლო საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: კომპიუტერულ ტექნიკას; ელექტრონულ რესურსებს; მონაცემების მოგროვებასა და დამუშავებას; საგანმანათლებლო აქტივობებს; პრობლემების გადაჭრას (კიბერ უსაფრთხოება, ტექნიკური პრობლემები); ინიციატივებს.
   ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ამჟამად სკოლაში, მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერების რაოდენობაა 16 კომპიუტერი (სკოლას აქვს 26 კომპიუტერი), რომლებიც გადანაწილებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში(12 ცალი), ადმინისტრაციაში (3 ცალი) და 1 კომპიუტერი სოფელ თოლენჯის მისამართზე (ადმინისტრაციულად მიერთებული დაწყებითი სკოლა), ასევე მუშა მდგომარეობაშია 3 ცალი ლეპტოპი, რომელიც განთავსებულია სოფელ გორანას მისამართზე (ადმინისტრაციულად მიერთებული დაწყებითი სკოლა). სკოლას აქვს 5 პროექტორი (2-სიმონიანთხევი, 2 გორანა, 1-თოლენჯი), პრინტერი-2, სქულბოქსი-2, დინამიკი-2. სკოლის შეფასებით, არსებული კომპიუტერული ტექნიკა

მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ამჟამად არსებული კონტიგენტის გათვალისწინებით სკოლას ესაჭიროება: 17 პერსონალური კომპიუტერული ლაბორატორიისთვის, 12 პერსონალური კომპიუტერი- დირექცია-ადმინისტრაციისთვის (ბიბლიოთეკა ,სამასწავლებლო) და ადმინისტრაციულად მიერთებული სოფელ გორანის და სოფელ თოლეჯის დაწყებითი სკოლებისთვის, 10 ლეპტოპი საგნობრივი კათედრების და საგნობროვი წრეებისთვის, 3 ფერადი პრინტერი, 1 შავთეთრი პრინტერი და 2 კინოპროექტორი.

სკოლაში ამჟამად, მოსწავლეებისთვის საზიარო სივრცედ გამოყოფილია კომპიუტერული ლაბორატორია. სადაც განთავსებულ კომპიუტერებს აქვთ დაბალი ოპერატიული მეხსიერება და ვერ უზრუნველყოფენ ინფორმაციის სწრაფ გადამუშავებას. ამიტომ სკოლა გეგმავს, კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერები ჩანაცვლდეს ახლით. ვინაიდან სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი და თითოეულ კლასში არსებული მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობას, საზიარო სივრცის გამოყენების განრიგის შემუშავების აუცილებლობა სკოლს არა აქვს. სკოლის შეფასებით, მოსწავლეთა 20 % არ აქვს სახლში კომპიუტერით სარგებლობის საშუალება.

მასწავლებლებისთვის საზიარო სივრცეა სამასწავლებლო, რომელიც არსებობს სამივე მისამართზე, თუმცა სამსაწავლებლო არ არის აღჭურვილი კომპიუტერებით. ამიტომ კომპიუტერით სარგებლობისთვის იყენებენ საზიარო სივრცეს კომპიუტერულ ლაბორატორიას. სკოლაში ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის გამოყოფილია სივრცე. კერძოდ, ბუღალტრის ოთახი, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, ხოლო დირექტორის ოთახში არის ორი პერსონალური კომპიუტერი, რომელთაგან ერთს განკუთვნილია დირექტორისთვის, ხოლო მეორე საქმისმწარმოებლისთვის. ბიბლიოთეკაში კომპიუტერი არ არის. სკოლას ამ ეტაპზე მიეწოდება საკაბელო ინტერნეტი 20 მეგაბაიტი/წამში სიხშირით რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას, სკოლაში მოქმედი თითოეული კათედრა გეგმავს საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა ახალი მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსის გამოყენებას. სკოლაში მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ტარდება კათედრის სხდომები, სამუშაო შეხვედრები, როგორც პირისპირ ასევე თიმსის პლათფორმაზე. მეორე წელია სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ჩართული არიან USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში, სკოლა თიმსის პლატფორმას, ასევე დახურულ FACEBOOK გვერდებს აქტიურად იყენებს მშობლებთან კომუნიკაციისთვის. განსაკუთრებით იმ

მშობლებისთვს, რომლებიც დღესდღეობით იმყოფებიან ემიგრაციაში. რაც შეეხება კიბერ უსაფრთხოების და ტექნიკური პრობლემების უზრუნველსაყოფად, პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სკოლა გეგმავს სახვადასხვა საინფორმაციო აქტივობების განხორციელებას მაგ: მოხდება საინფორმაციო ბროშურების დამზადება და გავრცელება, მშობლებთან შეხვედრა და საუბარი კიბერსივრცეში უსაფრთხო ქცევის ნორმებთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით. ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენებასთან დაკავშირებით სკოლა გეგმავს მონაწილეობა მიიღოს მედიაწიგნიერების პროექტების ,,happy onlife”-ისა და ,,ნამდვილი თუ მოგონილი“.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეები ჩართულობას ამ ტიპის პრობლემების მოგვარებაში, რისი გამოცდილებაც სკოლას აქვს.
სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე არსებული კომპიუტერების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის საჭიროების დაკმაყოფილებას კომპიუტერული ტექნიკით, თუმცა რამდენადაც სკოლა გააზრებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის როლი სასწავლო პროცეში და წარმოადგინა ,,ციფრული განვითარების გეგმა“ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან, ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია და სამასწავლებლო. თუმცა, სამასწავლებლოში კომპიუტერული ტექნიკის არარსებობის გამო, მასწავლებლების სარგებლობენ კომპიუტერულ ლაბორატორიით. კომპიუტერების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების განრიგი ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული. რადგან დაწყებითების მასწავლებლები იყენებენ განათლების სამინისტროს მიერ გადაცემულ ნეთბუკებს, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი იყენებს საკუთარ ლეპტოპებს, ხოლო მასწავლებელთა ნაწილი სარგებლობს კომპიუტერული ლაბორატორიით. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი წინა სამუშაო დღეს ინფორმაციას აწვდის დირექციასა და ტექნოლოგიების მასწავლებელს და სიტყვიერი შეთანხმებით ხდება შესაბამისი საგაკვეთილო დროის დაგეგმვა. (შესაძლებელია მოხდეს გაკვეთილების გადანაცვლება). სკოლა მიიჩნევს, რომ ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის განვითარებისათვის, კომპიუტერული ტექნიკაზე მასწავლებლების

უფრო მეტად ხელმისაწვდომობისათვის სამომავლოდ შეიმუშავებენ კომპიუტერების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების განრიგს. ადმინისტრაციული პერსონალი: ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და დირექტორი უზრუნველყოფილია სამუშაო სივრცით და კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი. სკოლას შემშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

როგორც დასკვნის პროექტში აღვნიშნეთ, ,, **სკოლას არა აქვს შემუშავებული** გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის). „

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც წარმოდგენილია, რომ სკოლა 02/10/2023 -მდე შეიმუშავებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტით სარგებლობის წესებს და რისკის დადგომის ალბათობა არის 0%

ინდიკატორი 3.6.1.2. მეტწილად შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- ბიბლიოთეკის დებულება (სარგებლობის წესი) ბრ. 2-65

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესს. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებს და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირებას, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ხელშეკრულებებისა აღრიცხვის წესს და ა.შ. სკოლა ფუნქციონირებს სამ მისამართზე. საქმისწარმოების ერთიანი მიდგომების გათვალიწინებით საქმისწარმოების დოკუმენტაცია ინახება საქმისმწარმოებელთან, რომლის სამუშაო სივრცე განთავსებულია სიმონიანთხევის სკოლაში. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება , როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით აღირიცხება შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალში, რომელიც დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევის, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან დავალებებზე.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი; ბრ.2-64
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ სკოლა არა აქვს ვებ-გვერდი.** ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ჩანს, რომ 20.11.2023-მდე სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვას. საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ განსაზღვრული აქვს სოციალურ ქსელის გამოყენება, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლაში თვალსაჩინო ადგელზე განთავსებული საინფორმაციო დაფაზე მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულაბას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1 მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლა სოციალურ ქსელით უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მართავს სოციალური ქსელს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების სიზუსტეს. სკოლის ფეიბუქგვერდის https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია: პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები და პირობები, მასწავლებლის გამოცდის რეგისტრაციის ვადები, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია პროვაიდერის ოფიციალური გვერდიდან.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელების წესებასა და პირობებს, სკოლის ფეისბუქ-გვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელ ინფორმაციის

ჩამონათვალს, სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობის მექანიზმებს, სკოლის ფეისბუქ-გვერდის მართვის პროცედურებს, ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირს და ინფორმაციის გაცემის წესს. აღნიშნული წესისი თანახმად, სკოლის ფეისბუქგვერდზე აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს სკოლის სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. თუმცა ყველა ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ფეისბუქგვერდიდან. სკოლას ეძლევა რჩევა, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შესაბამისად განათავსოს სკოლის ფეისბუქგვერზე სავალდებულო ინფორმაცია. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ .

,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს და სამომავლოდაც გეგმავს ონლაინ კითხვარების გამოყენებას, რათა ორგანიზებული გახდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებს თიმსის პლატფორმას, ასევე დახურულ FACEBOOK გვერდებს. უკუკავშირის შედეგები გათვალისწინებული იქნება საქმიანობის შესაფასებლად და გაუმჯობესების გზების დასახვისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

4. დასკვნის პროექტის თანახმად ,,სკოლას არა აქვს ვებ-გვერდი “ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულების მიერ წარმოადგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი (18/07/2023-20/11/2023) და შესაბამისი აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.

ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილ შესაბამისობაშია.

5. დასკვნის პროექტის თანახმად ,,სკოლას არა აქვს ვებ-გვერდი “ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულების მიერ წარმოადგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი (18/07/2023-20/11/2023) და შესაბამისი აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუქგვერდი: https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი. რამდენადაც, სკოლას ამ ეტაპისთვის სამოქმედო გეგმა არა აქვს **შემუშავებული, ვერ ფასდება** რამდენად იქნება ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები,

2. სტრატეგიული დაგეგემვის მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სკოლის ფინანსური დაგეგმარების ეფუძნებას სკოლის სტრატეგიულ მიზნებს. კერძოდ, სტრსტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია გადაეცემა სკოლის ბუღალტერს, რომელიც სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. დირექტორთან და სამეურვეო საბჭოსთან ერთად ფინანსური გეგმა განიხილება დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრაზე და საჭიროების მიხედვით ხდება დოკუმენტის არსებული ვერსიის კორექტირება. შემუშავებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯერი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N5
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი, ,,მოსწავლის, პერონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დებულებით განსაზღვრულია, მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას აქვს შინაგანაწესი, ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი, თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დებულებაში დეტალურადაა გაწერილი, თითოეული მექანიზმის ფარგლებში მოსწავლის უფლებები და გარანტიების უზრუნველყოფა. დებულებით ასევე განსაზღვრულია მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესები. სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების დოკუმენტი,

რომელშიც გაწერილია ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული, სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციები. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით, ასევე შემუშავებულია ქცევის წესები, რომელიც ითვალისწინებს ტოლერანტულ და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ საკლასო გარემოს შექმნას. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომლის უფლებებიც რეგულირდება კანონით ზოგადი განათლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. სსსმ მოსწავლის განათლების რეგულირების დებულების განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის უფლებები და სკოლის ვალდებულებების უფლებების დასაცავად.

წარმოდგენილი ,,მოსწავლის, პერონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დებულებით, რეფერირების დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით, სსმ მოსწავლის განათლების რეგულირების დებულებით და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით სკოლა აცხადებს მზაობას, უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მეორე სართულზე, სამასწავლებლოს გვერდით გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და რეფერირების დოკუმენტი. სკოლის დერეფნებში და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ქცევის წესებიც. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დებულება, რომელიც სკოლამ ამა წლის 3 აგვისტოს დაამტკიცა ჯერ ახალია და მასში დეტალურადაა გაწერილი, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ კანონიერი უფლებების დაცვის რეგულაციების საჯაროობა, მათი გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მიზნით. მაგალითად, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების შემუშავებასა და გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი განახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად გაეგზავნება ყველა მოსწავლეს. ასევე თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ,რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფილია გაზიარების შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, მხარეთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა დამატებითი პირობები და მხარეთა რეკვიზიტები. სასურველია ხელშეკრულებაში ასევე გაიწეროს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი; დამტკიცებული დირექტორის ბრ.2-68
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი; დამტკიცებული დირექტორის ბრ.2-66
- სსსმ მოსწავლის განათლების რეგულირების დებულება; დამტკიცებული დირექტორის ბრ.2-74
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი; დამტკიცებულია სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სხდომის ოქმი #2 (13/09/2022წ.)
- რეფერირების დოკუმენტი
- შემუშავებული ქცევის წესები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ ,,**სკოლას არა აქვს განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.** ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: მოსწავლის ჩარიცხვის და მობილობის ბრძანებები. ასევე პირველკლასელთა ჩარიცხვის შესახებ, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, ფეისბუქ-გვერდის საშუალებით“. **ინდიკატორითა მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც წარმოდგენილია, სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება მოხდეს 04.10.2023 წლამდე. რისკის დადგომის ალბათობა არის 0%**

ინდიკატორი 4.1.2.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

2.პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი არ ფასდება

3.. სკოლის ფეისბიქგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული გარკვეული მომსხურებების შესახებ. კერძოდ, სკოლაში მოქმედი სამოქალაქო განათლების კლუბის „კოპალას“ შესახებ. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებების გასაჯაროების მიზნით, დამრიგებლები იყენებენ ე.წ. მესენჯერის ჯგუფებსაც. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მშობელთა ინტერესებს მეორე უცხო ენის არჩევისას. ინფორმაცია მომსახურების სახეების, პირობების,

პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ პერიოდულად ქვეყნდება სასკოლო სივრცეშიც. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4..1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა სიახლეებს აქვეყნებს სოციალურ სივრცეში და ასევე ათავსებს სკოლის შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სადაც განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე.

სკოლამ მოაწავლეთა გამოკითხვის საფუძველზე, განსაზღვრა პრიორიტეტული სფერო და მომავალი წლისთვის გეგმავს სკოლაში გახსნას უფასო წრეები. კერძოდ, ხელსაქმის შემსწავლელი წრე. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი და რეფერირების ინსტრუქციები კანონის შესაბამისია. სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებზე სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ფეისბუქგვერდი-https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola
- კლუბ „კოპალას“ წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის და მობილობის ამსახველი მასალები(ბრძანებები)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- სადამრიგებლო პროგრამა
- შემუშავებული კითხვარები
- დირექტორი ბრ. 2-69 ,,სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პირველკლასელთა მიღების წესები; მაგალითად, დახვედრის წესი, ადაპტაციისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, მასწავლებლისა და მშობლის ფუნქციები და სხვა. განსაზღვრულია სკოლასთან წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ პირველკლასელთა ადაპტაციაზე და არ იკითხება სხვა სკოლიდან გადმოსული და სსსმ მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები. თუმცა დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია, რომ სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლის ადაპტაციაზე ზრუნავს კლასის დამრიგებელი.
სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება, როგორც პირველკლასელთა, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსული და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი.
ინდიკატორი 4.2.1.1დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს მზაობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას. სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლა განსაკუთრებულად ხვდება პირველ კლასელებს. პირველკლასელთა დასახვედრად მართავენ ღონისძიებებს, რთავენ კლასებს; ათვალიერებინებენ მათ სკოლას. ასევე თანამშრომლობენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან და ხშირად მასპინძლობენ პატარებს სასკოლო ღონისძიებებზე, რითაც ეხმარებიან მომავალ პირველ კლასელებს გარემოსთან ადაპტაციაში. სწავლის დაწყებისას დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს. აცნობენ მოსწავლეებს სიახლეებს და მათთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს. სხვა სკოლიდან გადმოსულ

მოსწავლეზეც ზრუნავს კლასის დამრიგებელი. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სკოლას აქვს ადმინისტრაციულად მიერთებული ორი დაწყებითი სკოლა; მე-5 კლასში მოსწავლეები ერთიანდებიან ძირითად სკოლაში. სკოლა უქმნის მათ შესაძლებლობას, რომ პირველივე კლასიდან გაიცნონ ერთმანეთი. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, განსაკუთრებული წესით ხვდებიან დაწყებითი სკოლებიდან მე-5 კლასში გადმოსულ მოსწავლეებს.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ შეიმუშავა მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია შემდეგი საკითხები: ყველა მოსწავლეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას და შესაბამისად შეფასების სისტემას; მოითხოვოს სემესტრული გამოცდა ნიშნის ამაღლების მიზნით; საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით, მოითხოვოს კონსულტაცია და შესაბამისი საგნის სახელმძღვანელოები; მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. აღნიშნული რეგულაციები ეხმარება მოსწავლეებს მიიღონ დროული მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია

4. სკოლა შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით უზრუნველყოფს, მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს ადმინისტრაციულ მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეს უფლება აქვს იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებული

5. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „კოპალა“. კლუბს აქვს თავისი სამუშაო სივრცე, სადაც წარმოდგენილია კლუბის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები. სკოლას ასევე აქვს USAID-თან თამშრომლობის გამოცდილება; სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეებმა გამარჯვება მოიპოვეს ერთ-ერთ პროექტში და სკოლას საჩუქრად გადაეცა პრინტერი და პროექტორი. სკოლის მიერ წარმოდგენილი

კითხვარების შეფასების საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს დამატებითი წრეების გახსნასაც. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა სარაიონო ღონისძიებაში; მაგალითად, მირზა გელოვანისადმი მიძღვნილ საღამოზე, სარაიონო ინტელექტუალურ შეჯიბრებაში და ა. შ . აშკარაა, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6.როგორც სადამრიგებლო პროგრამებში და სკოლის მიერ ჩატარებულ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარში ჩანს, სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ასევე მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ მეორე უცხო ენა. მომავალი წლისთვის სკოლა გეგმავს მოსწავლეთა კვლევის საფუძველზე, მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაგეგმოს კიდევ ბევრი აქტივობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით და ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბიც. ასე რომ, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები
- სადამრიგებლო პროგრამები
- კითხვარები
- კლუბ „კოპალას“ წესდება
- სკოლის ფეისბუქგვერდი-https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola

- მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი; დამტკიცებული დირექტორის ბრ.2-68

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა, დამრიგებლების დახმარებით, კლასის საათზე გააცნოს მოსწავლეს სხვადასხვა პროფესია, დაეხმაროს მათ პროფესიების გაცნობაში. როგორც აღნიშნავენ, სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან მემორანდუმი სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა მტკიცებულებად შეიძლება მოვიყვანით სკოლის ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებული ფოტომასალა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული სასწავლებლში ვიზიტის შესახებ. ბიოლოგიის მასწავლებლის ინიცირებით, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსწავლეები ასევე სტუმრობდნენ დაბის რაიონულ საავადმყოფოს, სადაც დაათვალიერეს ლაბორატორია და საოპერაციო ოთახი. სკოლა ასევე თანამშრომლობს თავდაცვის აკადემიასთან. შეიძლება, ითქვას, რომ სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას პროფესიების შესახებ და გარკვეულწილად ეხმარე მათ მომავალი პროფესიის არჩევაში.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ეროვნული გამოცდებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ. სოციალურ ქსელში განთავსებულია ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიულ კოლეჯთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს ჩაატარა კვლევა მშობლებისთვის. მიღებული შედეგები დაეხმარება სკოლას გაწეული მომსახურების შედეგების შეფასებაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები,
- სკოლის ფეიბიქგვერდი https://www.facebook.com/simoniantkhevissajaroskola
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ,,სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დებულება“. დოკუმენტით განსაზღვრულია, სსსმ მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ვალდებულებები, სპეციალური მასწავლებლის ფუნქციები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის წესები. მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და სხვა საკითები.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება და რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ისგ ჯგუფის წევრთა ჩართულობით და მასში შედიან სსსმ მოსწავლის მშობელი, სპეცმასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება რამდენჯერმე და განიხილავს სსსმ მოსწავლის პროგრესს. მათი ჩართულობით იცვლება და კორექტირდება ისგ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აღინიშნება სკოლაში 21 მარტი- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე და 2 აპრილი - მსოფლიო აუტიზმის ცნობიერების ამაღლების დღე. ეს ყოველივე დასტურდება სასკოლო სივრცეში გამოკრული კედლის გაზეთებით. ასევე გაწერილია სსსმ მოსწავლეთა სასწავლო რეგულაციის დოკუმენტში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასე რომ, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4. 2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის განათლების რეგულირების დებულება; დამტკიცებული დირექტორის ბრ.2-74
- სასკოლო-სასწავლო გეგმა,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში,

- კედლის გაზეთები.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა მაღალმთიან სტატუსის მქონე ზონაში მდებარეობს, მოსწავლეებს უწევთ რამდენიმე კილომეტრიანი, დაუსახლებელი გზის გავლა. როგორც თავად აღნიშნავენ, ამას ემატება მკაცრი ზამთარი და გარეული ცხოველების თავდასხმის საშიშროება. ამის გამო დადგა საჭიროება, რომ მოსწავლეებს მომსახურებოდა ტრანსპორტი. როგორც აღნიშნავენ,სკოლის მიერ შეთავაზებული ეს დამატებითი მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან კანონმდებლობს დაცვით და უფლების მიღების საფუძველზე,

ინდიკატორი 4.2.4.1დამაკმაყოფილებელია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 4.2.4.2 დამაკმაყოფილებელია

3.დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, სკოლის დირექტორი ყოველდღიურად ახდენს ტრანსპორტის მონიტორინგს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს დროულად. ყოველივე ეს დასტურდება ე.წ. ტაბელით, რომელსაც ხელს აწერს მძღოლი და სკოლის დირექტორი. ტარნსპორტის გამართულ მუშაობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა მანქანის ტექნიკური დათვალიერების ცნობა.

ინდიკატორი 4.2.4.3 დამაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტაბელის ფორმა,
- მანქანის ტექდათვალიერების ცნობა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთდოლოგიის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და განავითაროს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, რაშიც დაეხმარება კურიკულუმის შემუშავება/განვითარების ციკლური ხასიათი. სასკოლო საზოგადოება მთელი წლის მანძილზე ნერგავს შემუშავებულ კურიკულუმს, აკვირდება დანერგვის პროცესს, აანალიზებს დანერგვის შედეგებს და შეიმუშვებს სარეკომენდაციო პაკეტს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისათვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/დანერგვა/მონიტორინგსა და სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
   გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი
   სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს /გაწეროს კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც გამოიყენებს საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გასათვალისწინებლად.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის ინტერესები. გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის მიერ კურიკულუმში მშობლისა და მოსწავლის ინტერესების ასახვის ფაქტი ვერ შეფასდება.
   გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგფუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად
   ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია.
   გამომდინარე პირველადი ავტორიაციის რეჟიმიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხრისთვის, სკოლა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმავს გამოიყენოს საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობი განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან.

   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია მშობლებთან და მოსწავლეებთან სასკოლო კურიკულუმის გაზიარების ნაწილი არ ექვემდებარება შეფასებას.

   ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი

   ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. ბრ.02-67 სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ,,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ“
3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით დგინდება, რომ საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, თითქმის ყველა თემასთან მიმართებით სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტულად რომელი სამიზნე ცნება დამუშავდება და რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების იდეაც განსაზღვრულია. კომპლექსური დავალება კი თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლას. კომპლექსური დავალების იდეა სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტულ საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის ტრანსფერში. უპირატესობა ენიჭება ბუნების კომპლექსურ დავალებებს,რომლთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. მაწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა (1-4 კლასი) საჭიროებებს და ძირითადად გეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომელიც კეთებით სწავლებაზეა მორგებული.

კურიკულუმებში წარმოდგენილია გზა, რომელსაც მოსწავლე გადის საფეხურის ფარგლებში. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების

ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. მაგ., მე-3 და მე-4 კლასში, ინგლისურ ენაში, არ არის სრულად წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ქვესაკითხები და ორივე კლასის თემების ქვეთავების ჩამონათვალიც გასამართია. ასევე დასახვეწია რუსულ ენაში „მაგალითები შედარებისთვის“ კომპონენტის უმეტესი ნაწილი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. სკოლას ეძლევა რჩევა, არსებული უზუსტობების გასწორედეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალება და კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი თავისთავად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეში გლობალური ფუნქციური უნარების: კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის ნათლად გადმოცემას. კომპლექსური დავალების გადაჭრა მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზები ძიებას, წარდგენის პროცესი კი კომუნიკაციას. სკოლას შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, ხოლო გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განიხილავს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს, (დაწყებით საფეხურზე სწავლება ხდება კლას-კომპლექტებში). პედაგოგები მოსწავლეებს ახალისებენ მრავალფეროვან აქტივობებითა და თვითნაკეთი რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი განმავითარებელ შეფასების რუბრუკებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული მოსწავლის განვითარებაზე და ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლისთვის მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და დამიზნებულია როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებზე, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასების ანალიზი, სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები) ასახავს წინარე გამოცდილების გათვალისწინებას ახლის დაგეგმვის პროცესში. რაც ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, მოახდინოს მისი ანალიზი და გაითვალისწინოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ბრძანება N2-74სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების შესახებ;
- დაწყებითი კათედრის ოქმი
- შეფასების ინსტრუმენტები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალებები/კომპლექსური დავალებების იდეები. დაწყებითი საფეხურის პედგოგები აქტიურად იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სასწავლო რესურსებად იყენებენ ნახატებს, გასაფერადებლებს, პოსტერებს. იყენებენ G-PriED -ის მიერ მიწოდებულ რესურსებს. მოსწავლეები ახორციელებენ დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და საგნობრივი სპეციფიკის შეცნობას. ასევე გასათვალისწინებელია სკოლის მზაობას იმუშაოს სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან, გამოიყენოს მათთან მიმართებით დიფერენცირებული მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში კანონდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, შესაბამისი პირობების დაცვით შეიმუშაოს ინდ. გეგმები. როგორც აღვნიშნეთ, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებების გამოყენებას რაც თავისთავად იძელვა საშუალებას მოსწავლე ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების და მასწავლებლებთან გასაუბრება გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებს ცოდნას. კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა კი მოსწავლეს საშუალებას მისცემს სწავლა-სწავლების პროცესში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი

ორიენტირებულები არიან იკვლიონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი არასასკოლო გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებენმოსწავლეთა ცოდნის აგების პროცესის შეთავაზებისას.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავადგინოთ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ მოსწავლეებში მეტაკოგნიციის, კომპონენტური უნარების განვითარების სტრატეგიები, რომელიც არსებით როლს ასრულებს ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში.

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ საფეხურის შესაბამისი საკვანძო შეკითხვები, თემის გასააზრებლად მიმართული ღია შეკითხვები, კონკრეტული აქტივობები რომელიც სწავლის-სწავლის სტრატეგიების ათვისებას შეუწყობს ხელს.

რამდენადაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება

4.დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მოსამზადებლად მოსწავლეებს სჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე პროცედურების გაცნობიერება და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, რაც თავის მხრივ განაპირობებს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები / რესურსები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა მიმანიშნებელია, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი კურიკულუმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები და წარმოადგენს მთავარი ორიენტირის სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი საფეხურის შედეგებითა და სამიზნე ცნებებით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საფეხურის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი მოსწვალეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას დაეხმაროს მოსწავლეებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისა და სწავლებისას მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს გათვალისწინება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი. შეფასების რუბრიკებით ფასდება სამიზნე ცნებები და მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

იდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და

სანდოობას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი. სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ ,,სკოლას არა აქვს ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები", სადაც აღწერილი იქნება შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები". **ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლა, 04.10. 2023 წლამდე შეიმუშავებს ,, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს" რისკის დადგომის ალბათობა არის0%**

ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილად შესაბამისობაშია

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. წლიური შეფასებები შეტანილია მოსწავლის პირადი საქმეებში და ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადა 10 წელი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის დოკუმენტში

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები

- პერსონალურ მონაცენთა დაცვის დოკუმენტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის პროექტების (სოციალური-,,ვიზრუნოთ გარემოსა და ჩვენს ჯანმრთელობაზე“) განხორციელების გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, შეფასების რუბრიკების, დაწყებითი საფეხურის კათედრის, განხორციელებული პროექტების და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.
ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია
2.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ადგენენ კლასსი ქცევის წესებს,

იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის გაცნობამ, მშობელთა გამოკითხვის ფორმებმა და პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესმა დაგვანახა, რომ სკოლაში მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, კათედრა თანამშრომლობს დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- კათედრის შეხვედრის ოქმი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. თუმცა, პირველადი ავტორიზაციის პირობებში, **აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების

გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.
სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს.

ინდიკატორი 3.2.1.3.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების პროცესში მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.

სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესთან მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. შეფასებისას მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიული მზაობის და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, დიაგნოსტიკური წერა, ექსპერიმენტი, კომპლექსური დავალებები, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა) რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას შეფასებისას გამმოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მოთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმების განხორციელების შემდგომ, სკოლა აწარმოებს მის გადასინჯვასა და რევიზიას. პროცედურის მიზანია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთბული დასკვნების განზოგადება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. მთავარ ორიენტირს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი წარმოადგენს. ასევე,იგეგმება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის რევიზიის მუხლს, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა აცხადებს მზაობას, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება *(საგაზო საფეხური)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

IV. საგაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საგაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒**მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1	☒ შეესაბამება

კურიკულუმის შემუშავება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთდოლოგიის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და განავითაროს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, რაშიც დაეხმარება კურიკულუმის შემუშავება/განვითარების ციკლური ხასიათი. სასკოლო საზოგადოება მთელი წლის მანძილზე ნერგავს შემუშავებულ კურიკულუმს, აკვირდება დანერგვის პროცესს, აანალიზებს დანერგვის შედეგებს და შეიმუშვებს სარეკომენდაციო პაკეტს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისათვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/დანერგვა/მონიტორინგსა და სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი.

სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს /გაწეროს კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც გამოიყენებს საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გასათვალისწინებლად.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის ინტერესები. გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის მიერ კურიკულუმში მშობლისა და მოსწავლის ინტერესების ასახვის ფაქტი ვერ შეფასდება.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგფუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. გამომდინარე პირველადი ავტორიაციის რეჟიმიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, სკოლა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმავს გამოიყენოს საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია მშობლებთან და მოსწავლეებთან სასკოლო კურიკულუმის გაზიარების ნაწილი არ ექვემდებარება შეფასებას.

ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკუკუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ბრ.02-67 სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ,,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ"
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ თვითშეფასების საავტორიზაციო განაცხადში და დამატებით გადმოგზავნილ მასალებში წარმოადგინა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, საფხური შედეგები. ყველა თემასთან მიმართებით სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტულად რომელი სამიზნე ცნება დამუშავდება და რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების იდეაც განსაზღვრულია. კომპლექსური დავალება კი თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლას. კომპლექსური დავალების იდეა სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტულ საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის ტრანსფერში. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კურიკულუმებში წარმოდგენილია გზა, რომელსაც მოსწავლე გადის საფეხურის ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალება და კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი თავისთავად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების: კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის ნათლად გადმოცემას. კომპლექსური დავალების გადაჭრა მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას, წარდგენის პროცესი კი კომუნიკაციას. სკოლას შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, ხოლო გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განიხილავს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლების მიერ შექმნილი და ვიზიტის დროს წარმოდგენილი ინტერაქტიული სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა დავალებები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს. გაითვალისწინონ მოსწავლელთა ტიპები.

დიფერენცირებული მიდგომები. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლისთვის მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის და სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების პირველი მოდელი. გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა სასწავლო თემისთვის შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. საგნობრივმა კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი სხდომის ოქმი, სადაც

განხილულია სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, მასწავლებლის კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად აღნიშნული ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალქო კლუბი ,, კოპოლა“ მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც ცხადია ხელ უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, სამოქალაქო კლუბი ,,კოპოლას“ წესდებით, განხორციელებული პროექტით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებს ცოდნას. კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა კი მოსწავლეს საშუალებას მისცემს სწავლა-სწავლების პროცესში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების

თვალსაზრისით დაა.შ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ორიენტირებულები არიან იკვლიონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი არასასკოლო გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნის აგების პროცესში. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ მოსწავლეებში მეტაკოგნიციის, კომპონენტური უნარების განვითარების სტრატეგიები, რომელიც არსებით როლს ასრულებს ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ საფეხურის შესაბამისი საკვანძო შეკითხვები, თემის გასააზრებლად მიმართული ღია შეკითხვები, კონკრეტული აქტივობები რომელიც სწავლის-სწავლის სტრატეგიების ათვისებას შეუწყობს ხელს. თუმცა ამ ეტაპზე **ინდიკატორი ვერ ფასდება**

4. სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლის მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები / რესურსები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა მიმანიშნებელია, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სამოქალაქო კლუბი ,,კოპოლას“ წესდება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები და წარმოადგენს მთავარი ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. საბაზო საფეხურის შედეგებითა და სამიზნე ცნებებით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საფეხურის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი მოსწვალეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული

სიღმისეული სწავლის მიდგომებით იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას დაეხმაროს მოსწავლეებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით, საბაზო საფეხურის მასწავლებლებს აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიაკტორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისა და სწავლებისას მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს გათვალისწინება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3 სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი. შეფასების რუბრიკებით ფასდება სამიზნე ცნებები და მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

იდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4 სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების,

მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5..დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ ,,სკოლას არა აქვს ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები", სადაც აღწერილი იქნება შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები". **ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლა, 04.10. 2023 წლამდე შეიმუშავებს ,, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს"რისკის დადგომის ალბათობა არის 0%**

ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილად შესაბამისობაშია

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. წლიური შეფასებები შეტანილია მოსწავლის პირადი საქმეებში და ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადა 10 წელი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის დოკუმენტში

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომების ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი. პედაგოგთა განმართებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,კოპოლა“, რომლის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროექტები.
სკოლის ფილოსიფიის, საბაზო საფეხურის კურიკულუმის, შეფასების რუბრიკების, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმების, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების და სკოლაში არსებული არაფორმალური განათლების მხარდამჭერი გარემოს არსებობის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და

მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ადგენენ კლასსი ქცევის წესებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სკოლის ფილოსოფიის, საბაზო საფეხურის კურიკულუმის, კლუბური მუშაობის, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის გაცნობამ, მშობელთა გამოკითხვის ფორმებმა და პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესმა დაგვანახა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტი. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმნეტის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- საგნობრივი კათედრის შეხვედრის ოქმები
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ საბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას, თუმცა, რადგან პროცესი არ დამდგარა და პირველადი ავტორიზაციაა, **აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების

გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.
სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ? ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს
ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების პროცესში მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.

სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. პირველადი ავტორიზაციის პირობებსი **ვერ შეფასდება რამდენად ეყდრნობა შეფსების პროცესი მრავალფეროვან წყაროოებს**

2. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასება მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. შეფასებისას მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიული მზაობის და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, დიაგნოსტიკური წერა, ექსპერიმენტი, კომპლექსური დავალებები, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა) რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას შეფასებისას გამმოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მოთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმების განხორციელების შემდგომ, სკოლა აწარმოებს მის გადასინჯვასა და რევიზიას. პროცედურის მიზანია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთბული დასკვნების განზოგადება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. მთავარ ორიენტირს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი წარმოადგენს. ასევე,იგეგმება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის რევიზიის მუხლს, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა აცხადებს მზაობას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილრბულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება *(საშუალო საფეხური)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

IV. საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒**მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთდოლოგიის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და განავითაროს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, რაშიც დაეხმარება კურიკულუმის შემუშავება/განვითარების ციკლური ხასიათი. სასკოლო საზოგადოება მთელი წლის მანძილზე ნერგავს შემუშავებულ კურიკულუმს, აკვირდება დანერგვის პროცესს, აანალიზებს დანერგვის შედეგებს და შეიმუშვებს სარეკომენდაციო პაკეტს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისათვის. სასკოლო კურიკულუმის

შემუშავება/დანერგვა/მონიტორინგსა და სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი

სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს /გაწეროს კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც გამოიყენებს საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გასათვალისწინებლად.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის ინტერესები. გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის მიერ კურიკულუმში მშობლისა და მოსწავლის ინტერესების ასახვის ფაქტი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება. გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგფუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. გამომდინარე პირველადი ავტორიაციის რეჟიმიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხრისთვის, სკოლა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმავს გამოიყენოს საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია მშობლებთან და მოსწავლეებთან სასკოლო კურიკულუმის გაზიარების ნაწილი არ ექვემდებარება შეფასებას.

ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკუკუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ბრ.ბრ.02-67 სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ,,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ“

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებამ თვითშეფასების საავტორიზაციო განაცხადში და დამატებით გადმოგზავნილ მასალებში წარმოადგინასაშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, საფხური შედეგები. ყველა თემასთან მიმართებით სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტულად რომელი სამიზნე ცნება დამუშავდება და რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების იდეაც განსაზღვრულია. კომპლექსური დავალება კი თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლას. კომპლექსური დავალების იდეა სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტულ საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეს ცოდნის ტრანსფერში. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კურიკულუმებში წარმოდგენილია გზა, რომელსაც მოსწავლე გადის საფეხურის ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალება და კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი თავისთავად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების: კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის ნათლად გადმოცემას. კომპლექსური დავალების გადაჭრა მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზები ძიებას, წარდგენის პროცესი კი კომუნიკაციას. სკოლას შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, ხოლო გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა, ხასიათი ნება) განიხილავს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.მასწავლებლების მიერ შექმნილი და ვიზიტის დროს წარმოდგენილი ინტერაქტიული სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა დავალებები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს. გაითვალისწინონ მოსწავლელთა ტიპები. დიფერენცირებული მიდგომები. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლისთვის მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები. საშუალო საფეხურის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის და სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება.

კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიი. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების პირველი მოდელი. გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა სასწავლო თემისთვის შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.საგნობრივმა კათედრებმამ წარმოადგინეს შემაჯამებელი სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- საშუალო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები

საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად აღნიშნული ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალქო კლუბი ,,კოპოლა“ მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც ცხადია ხელ უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებით, სამოქალაქო კლუბი ,,კოპოლას“ წესდებით, განხორციელებული პროექტით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებს ცოდნას. კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა კი მოსწავლეს საშუალებას მისცემს სწავლა-სწავლების პროცესში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ორიენტირებულები არიან იკვლიონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი არასასკოლო გამოცდილება, რომელსაც გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნის აგების პროცესში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ მოსწავლეებში მეტაკოგნიციის, კომპონენტური უნარების განვითარების სტრატეგიები, რომელიც არსებით როლს ასრულებს ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ საფეხურის შესაბამისი საკვანძო შეკითხვები, თემის გასააზრებლად მიმართული ღია შეკითხვები, კონკრეტული აქტივობები რომელიც სწავლის-სწავლის სტრატეგიების ათვისებას შეუწყობს ხელს. თუმცა ამ ეტაპზე **ინდიკატორი ვერ ფასდება**

4. სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლის მოითხოვს

კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები / რესურსები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა მიმანიშნებელია, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშალო საფეხურის კურიკულუმი
- სამოქალაქო კლუბი ,,კოპოლას“ წესდება

.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები და წარმოადგენს მთავარი ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. საშუალო საფეხურის შედეგებითა და სამიზნე ცნებებით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საფეხურის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი მოსწვალეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას დაეხმაროს მოსწავლეებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით, მასწავლებლებს აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. თუმცა, გამომდინარე პირევლადი ავტორიზაციის პირობებიდან აღნიშნული ინდიკატორი **ვერ შეფასდება**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. საგნობრივი კონტექსტები ეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისა

და სწავლებისას მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს გათვალისწინება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი. შეფასების რუბრიკებით ფასდება სამიზნე ცნებები და მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5 დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ ,,სკოლას არა აქვს ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც აღწერილი იქნება შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები“.

ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლა, 04.10. 2023 წლამდე შეიმუშავებს ,, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს“. რისკის დადგომის ალბათობა არის0%

ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილად შესაბამისობაშია.

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. წლიური შეფასებები შეტანილია მოსწავლის პირადი საქმეებში და ინახება საქმისმწარმოებელთან. პირადი საქმის შენახვის ვადა 10 წელი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომების ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. საშუალო საფეხურის

კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი. პედაგოგთა განმართებით, საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,კოპოლა", რომლის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროექტები.

სკოლის ფილოსიფიის, საშუალო საფეხურის კურიკულუმის, შეფასების რუბრიკების, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმების, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების და სკოლაში არსებული არაფორმალური განათლების მხარდამჭერი გარემოს არსებობის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2.საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ადგენენ კლასში ქცევის წესებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სკოლის ფილოსოფიის, საშუალო საფეხურის კურიკულუმის, კლუბური მუშაობის, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის გაცნობამ, მშობელთა გამოკითხვის ფორმებმა და პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესმა დაგვანახა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტი. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენტის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- საგნობრივი კათედრის შეხვედრის ოქმები
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირების დოკუმენეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების

ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი2.3.1.1.დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას, თუმცაღა, რადგან პროცესი არ დამდგარა და პირველადი ავტორიზაციაა, **აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3..კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ? ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვიტარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების პროცესში მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესთან მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. შეფასებისას მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიული

მზაობის და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრები გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, დიაგნოსტიკური წერა, ექსპერიმენტი, კომპლექსური დავალებები, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა) რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას შეფასებისას გამმოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მოთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმების განხორციელების შემდგომ, სკოლა აწარმოებს მის გადასინჯვასა და რევიზიას. პროცედურის მიზანია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთბული დასკვნების განზოგადება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. მთავარ ორიენტირს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი წარმოადგენს. ასევე,იგეგმება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის რევიზიის მუხლს, საიდანაც ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა აცხადებს მზაობას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

Maka Tukvadze 01019028119

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2023.10.01 22:16:36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნინო მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) ----------

კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) --------

ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) ----------

მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) ----------

თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) -------

ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)---